

გრიპი A (H1N1) - განახლება 24

2009 წლის 10 მაისი – გრინვიჩის დროით 07:30 საათისთვის ოცდაცხრა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა გრიპის A (H1N1) ინფექციის 4379 შემთხვევის შესახებ.

მექსიკა იტყობინება 1626 დადასტურებული შემთხვევის შესახებ, 45 გარდაცვალებით. აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 2254 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ორი გარდაცვალებით. კანადამ – 280 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით და კოსტა რიკამ 8 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: არგენტინა (1), ავსტრალია (1), ავსტრია (1), ბრაზილია (6), ჩინეთი, ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული (1), კოლუმბია (1), დანია (1), სალვადორი (2), საფრანგეთი (12), გერმანია (11), გვატემალა (1), ირლანდია (1), ისრაელი (7), იტალია (9), იაპონია (4), ჰოლანდია (3), ახალი ზელანდია (7), პანამა (3), პოლონეთი (1), პორტუგალია (1), კორეის რესპუბლიკა (3), ესპანეთი (93), შვეცია (1), შვეიცარია (1) და გაერთიანებული სამეფო (39).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსით გამოწვეული აფეთქების გამო.

დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათ, ვისაც მოგზაურობის შემდეგ გამოუვლინდებათ დაავადება უნდა მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება. ესაა გონივრული ღონისძიება, რომელიც შეზღუდავს მრავალი გადამდები დაავადების გავრცელებას, გრიპის ჩათვლით.

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.